

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადროვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარემუ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

შა. ი. ბანსხადგენისა: დღესასწაულებით ასოზე 1 კაპი, კვირით 5 კაპი, პატარათი—4 კაპი.

რედაქციას უზღუდა აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დ საბეჭდათ გამზადვნილი სტატეჩი. ღაჯბ: კლდელი სტატეები ავტორს არ დაუბრუნდებ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

## ბანსხადგება

გამოვიდა და ისპიდგება სახალხო სამიომო წიგნი

### კარაბაღინი

შეღვანილი

მღ. ღავეთ ღამბაშიძისაგან.

გამოცემა პირველი.

ფასი გავზენით უყდოთ ერთი მანეთი, უღით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თ ფ ი ლ ი ს შ ი — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

მ თ თ ა ი ს შ ი — სიმონ ტერვაძის მაღაზიაში (გემნაზიის მახლობლად).

ა ხ ა ლ - ს ე ნ ა კ შ ი — ბლაღოჩინს სიხორღიასთან.

ზ უ გ დ ი ღ შ ი — ბლაღოჩინ მის. მეუწნარგაისთან.

ლ ე ჩ ხ უ მ შ ი (ლაილასში) — ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

ს ა ჩ ხ ე რ ე შ ი — შარამან ჩხვიძისთან — სასოფლო შკოლაში.

ბ ო რ შ ი — პავლე ბურჯანაძისთან (სასულიერო სასწავლებელში).

შ ე რ ი ლ ა შ ი — ბლაღოჩინ ღავეთ ღამბაშიძისთან.

ღაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. ღ. ღამბაშიძისაგან (დ. შვირილიძემ), ამ აღრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. მინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—2)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროშაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადროვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозна“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გავზენით—ხუთი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კეტიკაშური, 21 ივლისს. ბურგასი-ღამ (რუმელიღამ) მოვიდა დეკეშა, რომ რუსის ჯარები სულ გამოსულან იქიღამ, უკანასკნელი საღდათი გუშინ გამოსულა! შევლა სამხედრო მასალები, რკინის გზის მოწყობილობა, ფოჩტა, ტელეგრაფი და სხვა მოაქეთ რუსეთში ოღდესი ღამ.

ლონღონი, 21 ივლისს. ბეზიყის ნავსადგურში მოვიდა ექვსი ინგლისის ჯავშინანი ხომალდი. სალონიკში მალე საფრანგეთის ესკადრის მოვლიან.

მეჩსალნი, 22 ივლისს. სამინისტროს თავს მჯღომარემ მადიგტონმა წაიკითხა გუშინ სეპატში და ღვეუტატების პალატაში დეკრეტი, რომლის ძალითაც ამ პალატების სხდომა (რესსია) დაიხურება და ხელახლად გაიხსნება პარიჟში 25 ნოემბერს და 1 ქრისტეშობის თვის შუა.

ლონღონი, 22 ივლისს. ძაპის კალონიიღამ მოვიდა ამბავი, რომ იქაურ ინგლისის ჯარების სარდალმა ლორდ ჩელომსფორდმა სამსახურიღამ დათხოვნის ქალადი შემოიტანაო.

ნანსი, (საფრანგეთი) ივლისს. ღღეს აკურთხეს აქ ტიერის ძეგლი. მინისტრები, დეპუტატები, მეცნიერნი და უანგარიშო ხალხი დაესწრო.

## საქართველო

ორიოღმე სიტყვა რუსულ გაზეთს „თფილისის მოღამის“ აზრზე.

შველამ იცის, რამდენი ღაპარაკი იყო ქალაქის ყურნალ-გაზეთებში იმ საღანზე, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა შკოლებში საქირთა დეღა ენაზე სწარმოებდღესო.

მს აზრი ბოლოს, შარშან, სახალხო სასწავლებელთა დირექციამ მიიღო და ქეშმარიტებად აღიარა სოფლის შკოლებისათვის.

შველამ კარგათ იცის, რომ სასოფლო შკოლების გარდა, პირველ-დაწყებითი სწავლა არის მოსამზადებელ კლასებში სხვა-და-სხვა სასწავლებლღე-

ბისაში: ეაქებისა და ქაღების გემნაზიისა, რეღურ და საქალაქო შკოღებისა, ტეჩნიკურ სასწავლებლისა, თფილისის შველ-ძოქმედებითის საზოგადოებისა, მართლ-მადიდებლობის აღმადგინელ საზოგადოების სოფლის შკოღებში.

ამ შკოღებში სწავლა ყველა საგნებისა ჯერ დეღა ენაზე არ სწარმოებს. არამც თუ ასეა, დეღა ენას სხვა საგნებთან არც კი ასწავლიან, ასე რომ პირველ-დაწყებით შკოღებში, სასოფლო შკოღებს გარდა, (რომელნიც გამართულნი არიან თვით სოფლის საზოგადოებათაგან), არსად დეღა ენის წერა-კითხვასაც არ ასწავლიან.

მამასაღამე ღღეს ასეა, რომ დეღა ენაზე სწავლება საზოგადოდ მიღებულად და აღიარებულად არ შეიძლება ჩავთვალოთ. იძეღები მხოლოდ ახლანდის, რომ ყველგან მიღებული იქნებაო; მაგრამ ჯერ არ ვიცით როგორ გათავღება.

აქამომღე დეღა ენაზე სწავლების მოწინააღმღეღებს მიზნათ სხვა-და-სხვა აზრი მოჰყავღდათ, მღვალითად ისა, რომ საქართველოში ენა ბევრ გვარად იყომ ფაო და ასახეღებდღენ: ქართულს, იმერულს, გურულს, რაჭულს, ქართლულს, კახურს, ფშავულს, ხევესურულს. ბარემც სოფლების სახეღებსა!!

მართლა, ვინც არ იცოღდა ეს ოინობა თავს ბრუტი ეხევეოღა ამდენის აქრეღებისაგან და ამბობღდა, აბა რომელ ერთ ენაზე უნდა სწარმოებღეს სწავლაო? იმათ რა იცოღდღენ, რომ საქართველოღს ორ გუბერნიაში ბორჩალოღს, ახალციხის, ახლქალიქის ზოგ ადღიღს გარღა ყველგან ერთი და იგივე ქართული ენა იყო სასაუბრო ყველა მცხოვრებღებისათვის.

სხვა მოწინააღმღეღენი დეღა ენაზე სწავლებისა სხვა მიზნსა ვითამ უფრო საფუძღლიანსა სღებდღენ: სახეღმძღვანელო წიგნები რომ არა გაქვსო, შკოლებში როგორ შეიძღება სწავლებაო, ამბობდღენ ერთის მხრით, და მეორეს მხრით ხმას ამალღებდღენ სამშობლო მწერლოღობის წინააღმღეღ და საზოგადოების იმ ნაწილში, რომელმაც ჩენი მწერლოღობა არ იცის, იმ ნაწილში ცრუ და უსამართლო აზრებსა ჰბადღებდღენ.

მს ის ღრო იყო, როღდესაც 1876 წელს კლასიკური და რეღურ გემნაზიების ახალი წესები უნდა შემოსულ იყო. მაშინღდელ სასწავლებელთ უწყების პირთა ზემოხსენებული აზრების კირი სკირღათ. ღა არც თუ პირველ-



დაწყებითს დედა ენაზე სწავლაზე რამე სთქვას, თვით დედა ენის საკუთარ საგნად სწავლებაზედაც უარი ჰყვივ; აქაურ უმადლეს მმართველობაში ამგვარი წინადადება იყო შეტანილი. პატივსაცემად მოსახსენებელია ის გარემოება, რომ უმადლესმა მმართველობამ ეს წინადადება არ მიიღო და სამშობლო ენები ვალდებულებითს საგნებში ჩაირიცხა.

ესე მოხდა, მაგრამ მოწინააღმდეგენი არ დაწყვიტდნენ და ერთის მხრით საზოგადოებაში თავისი აზრების დამტკიცებას ცდილობდნენ და მეორეს მხრით მმართველობისაგან მათის აზრების მიღებას.

1873 წელს იმათი აზრი შესახებ დედა ენის სწავლებისა ასეთივე იყო, რომ გემნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში სრულიად გაუქმებულიყო. მთავრობამ მაინც და მაინც არ მიიღო და ვალდებულთა უბრუნების ნაცვლად ნებაყოფლობაზე დააწესა დედა ენების სწავლება პირველ ოთხს კლასებში.

ამგვარად გამოჩნდა, რომ მმართველობა აქაურ ენებს საჭირო და სთვლიდა, რაკოც სახელმწიფოს საქსახური-სათვის, აგრეთვე თვით ხალხის ცხოვრებისათვის.

ბოლოს ეს საქმე გარდაწულდა; დადგა დრო მშვიდობით საქმის გარჩევისა და დათმებისა. შაიფანტა კრუ აზრებო, ყველანი თან და-თან დარწმუნდნენ, რომ დედა ენის მოწინააღმდეგეთ ატეხილი საგანი არაფისთვის სასარგებლო არ იყო, თვით პედაგოგის პირველ საფუძვლის წინააღმდეგი იყო. შარშან სახალხო შკოლების დირექციამ, როგორცა ვთქვით დედა ენაზე სწავლება აღიარა საჭიროდ.

მითმა, მხოლოდ ერთმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ. ამ წლის განმავლობაში იქნება გვერდით, რომ მოწინააღმდეგეთ არაფერს აღარ იტყვიან, რომ სხვა პირველდაწყებითს სასწავლებლებშიც დედა ენაზე არ დაიწყონ სწავლება. მაღვ ილაპარაკებენ, მოავალს ძველს და ახალს მიზეზება მოსძებნიან.

და ამა პირველი ყოვლი იქვამ მოკვებისა, საიღამაც არ მოველოდით. „თჳილისის მოამბემ“ № 134-ში ლაპარაკი ჩამოავდო სახელმძღვანელოების უქონლობაზე. ამ საგანზე ლაპარაკი ვანა არ შეიძლება, მაგრამ „თჳილისის მოამბის“ კილო გადამეტებით ცუდი კილოა.

ჯერ პირველად ის ცრუ აზრი გამო-სთქვა, რომ პირველ დაწყებითი სწავლა ვითომც დედა ენაზე სწარმოებდეს. და-ავიწყდა; რომ მართა სოფლის შკო-ლებშია და ისიც ყველაში არა. მხო-ლოდ სოფლის საზოგადოებისაგან გა-მართულებშია.

რაკი ამ ცრუ საფუძვლებზე იწყება ლაპარაკი, მისდევს და მისდევს ბოლომ-დინ. თუ სახელმძღვანელოები არ გა-მოჩნდა, ეს შკოლები დაიკეტებაო და ამ აზრს ქართულ გაზეთების წერილე-ბის სიმრავლეზე ამყარებს. მაეც ცრუ აზრია, ამიტომ რომ პირველად ქართულ გაზეთებში თუ ყოფილა ლაპარაკი ძა-

ლიონ გაცვრით სახელმძღვანელო წიგ-ნებზე და შკოლების დაკეტზე ყოფილა და ისეც არა მრავალ ჯერ. შკოლებს დაკეტის მიზეზიც სხვა მოხსენებულა. და მეორედ, თუნდაც რომ იყოს ლა-პარაკი, ქართულ გაზეთებს შეუძლიათ ლიტერატურულ საგანზე ან მის ნაკ-ლულეფაებზე ვრცლად ილაპარაკოს, გაახუადოს გაკიცხოს ან აქვს იმისი მუშაენი; ე იმისი საქმეა ამიტომ რომ კარგათ იცის ვის ელაპარაკება, იცის რომ იმის ძკითხველებს ლიტერატურის გარემოება ეყურება.

მაგრამ რუ უთმა გაზეთმა, რომ იმ გვარივე ლაპარაკი დაუწყოს თავის ძკით-ხველებს, ეს გაუგებარი ლაპარაკი ვა-მოვა, ამიტომ რომ ძკითხველები სხვა-ნი არიან, რომელთაც ქართული მწერ-ლობის არც ისტორია იციან, არც აწ-მყო და აწინდელი მდგომარეობა.

სახელმძღვანელოების უქონლობაზე ლაპარაკი უსამართლო ლაპარაკია. მინც კი ცოტადენად ქართული ძველი და ახალი მწერლობა იცია, იმას მრავალი და მრავალი სახელმძღვანელო წიგნები ენახება თუ წარსულს საუკუნისა და თუ იმ საუკუნისა. უხადათ ნახავს, რომ თუმცა წიგნის ბეჭდეა გავრცელებული არა ყოფილა, ხელთ-ნაწეი სახელმძღვან-ელოები მრავალია და სწავლის სურ-ვილი ისე ძლიერი ყოფილა, რომ მრავალი მუშაკი ჰყოლია. საკმაო დასა-ხელებია ანტან მათაოკოზისა და ვის შეუძლია მასთვლოს ანტონის შემ-დეგ იმ უცნობთა შედგენილი სახელ-მძღვანელო წიგნები, რომელნიც ამ სა-უკუნის დასაწყისიდანა ჩნდება; არც ერთი ნერგი სწავლა-მეცნიერებისა და ხელოვნებისა არ დარჩენილა: მაღლის მათემატიკადამ ძკირე კალიგრაფიამ-დის. შარს ნუ წავალთ ჩვენს დაწრე-ბაში რამდენი სახელმძღვანელოები გვი-ნახავს ხელ-ნაწერო. იმისთანა სახელ-სახელმძღვანელო წიგნებაც, რომელნიც საკუთრად კომნაზიის კურსისანი არიან (მაგალ. იატორია მებერისა, ზრუბების, ილოვისკაა, პრიოპეტეკა ზრუბერის, მკტუმეგვისა და სხვა ნემეცური. გეო-გრაფული კარტები დი ატლასები და სხვანი); ეს წიგნებიც კი გადმოთარგმნი-ლია, რადესაც ყველამ იცის, რომ გემ-ნაზიის საკურსო სწავლა დედა ენაზე არ არის.

მაშასადამე ყოფილა და არის სახელ-მძღვანელო წიგნები.

„თჳ. მოამბემ“ რაკი ერთი ტყუილი სთქვა, არ შეიძლებაო, რომ მეორე არ მოჰყოლიდა. მას სჩანს იქვამ რა მიზეზს უქმენის სახელმძღვანელოების უქონლობას იმის ნაცვლად, რომ ნამ-დვილი მიზეზი მოსძებნოს, გაზეთი ამ-ბობს: „ქართველი პედაგოგები თუმცა ბევრნი არიანო (რამდენიც სიტყვა სთქვას, იმდენი ტყუილი იბადება. რამდენი ათი წველი ი ნება მეტადრე გემნ ზიებში, სადაც აქ მის კარი დხმული ჰქნდათ?), მაგრამ სახალხო-ენა და ტურმენები არ იციანო, (თუმცა დიდი თავის ხეთქა სდომებია ტერმინების მო-ძებნასა და კარგი განათლებულნი ყოფილან

თუ სასაუბრო ენა არ სცოდნათ), გამოსაკე-მი ფული უჭირთო, (ეს მაინც რა გოლო არ იყო, რომ სახელმძღვანელო სხვა წიგნებისაგან იმით განიჩევა, რომ ქლიან გასაფლო აქვს, მაშადამე გამომცემელი ადვილად გამოჩნდება) და მასწავლებლები (ნუ თუ ასოვლო შკო-ლებისანი, რომელთაც ბრევი მოსთხოვ სახელ-მძღვანელოს შედგენას) კარგა მოაზრებუ-ლები არ არიანო. (საშუალო სასწავლებელთ მსწავლებლებს კი იმდენი სწავლა უმძვილად აქვთ.)

პი ესეები ჰგონია „თჳ. მოამბეს“ სახელმძღვანელოებისა უქონლობის მი-ზეზი და სხვა არაფერი.

როგორცა ენახეთ, თვით ლაპარაკი უაფუძვლოა. მაგრამ მოდი მივილოთ ნათქვამი ნამდვილი ჰქმმართებათ: ვთქვათ, რომ არამც თუ დაბეჭდილი სახელმძღვანელოები მოიპოვება, არც ხელნაწერები არის სადმე: არც მცოდ-ნე და მომზადებული კაცები სჩანან, რომ პედაგოგიური წიგნები შეადგინონ და გამოცენ. მთქვათ ეა აეა.

ზანა ეგ მიზეზია, რომ სოქვათ, დე-და ენაზე გამართული შკოლება დაიკე-ტებაო, თუ კი სახელმძღვანელოები არ არისო?

მითი წელიწადია, მხოლოდ ერთი წელიწადი, რაც სასწავლებელთ დირექ-ციამ აღარა, რომ სოფლის საზოგადო-ების ხარჯით გამართულ შკოლაში სწავლება დედა ენაზე უნდა სწარმოებ-დესო. მართი მხოლოდ ერთი წელიწა-დია; რაც ეს ნაბიჯი ძლიერა ენახეთ და თქვენ, „თჳილისის მოამბის“ მწერათ ახლავე სახელმძღვანელო წიგნებსა გვთხოვთ, მოამეციოთ, თორემ შკოლები დაიკეტებათ!

შ-ცხს და სასტიკს უსამართლოებას შეუძლია ასე ამგვარი ლაპარაკი, რომ შკოლების ბედი სახელმძღვანელოების სიღარიბეს შეაკავშიროს. მრც ერთი ქვეყნის საქმე ვერ შეიძლებაო და დაწ-ყობილიყო მაგისთანა მოთხოვილებით „ეშმაკები ტიკებს ალობდნენ და ღვინო არსად იყოფო“. მისთვის უნდა გამოსუ-ლიყო სახელმძღვანელო წიგნები, რომ-დეს ც შკოლა არ არის?

„თჳ. მოამბის“ მწერალს დაავიწყდა რომ სახელმძღვანელო წიგნი იმისთანა წიგნსა ჰქვიან, რომელიც შკოლაში იხ-მარება. თუ კი შკოლა არ არის, იქსახ-მარებელი საგანი საიღამ გამოჩნდება? აქვდამ გამოდის, რომ არას მოძცემ და ყბასაც მოამტეხო. შკოლას დღეს მამართვინებ და დღესვე დამდგარხარ სულთაძხუთავსავით, სახელმძღვანელო-ები მოიტაო; და თუ არა გაქს, შკო-ლებს არ გავამართვინებო ან დაკეტვას მიქაღი!

მითი, მხოლოდ ერთი წელიწადი და ეს ქადილი! დაკეტვა შკოლისა! ბონი-ფრი, სენიდიისიანი შკოლის წარმატე-ბის მსურველი ამ დაკეტვას არ ახანებ-და და თუ სახელმძღვანელოების ნაკ-ლულეფანება არის, ამას მოავგონებდა არათუ მართა „წერა-კითხვის საზოგა-დოებას“, არამედ თვით სახალხო შკო-ლების დირექციას, რომ მოძებნოს დე-



და ენაზე სახელმძღვანელოების შემდგენელი და გამოცემის...

მე, მოამბის მწერალი სხვა ფრიგა... და ენაზე წიგნის საზოგადოების...

მეტი განა ერთი წელიწადი შეიქმნება... და ენაზე წიგნის საზოგადოების...

და ენაზე წიგნის საზოგადოების... და ენაზე წიგნის საზოგადოების...

და ენაზე წიგნის საზოგადოების... და ენაზე წიგნის საზოგადოების...

და ენაზე წიგნის საზოგადოების... და ენაზე წიგნის საზოგადოების...

და ენაზე წიგნის საზოგადოების... და ენაზე წიგნის საზოგადოების...

§ 1. მიზანი ამ სასწავლებლისა პრიუტით იქნება, რათა მიეცეს ჯეროვანი სწავლა და განათლება სასულიერო წოდების ქალებსა.

შენიშვნა პრუტში ანუ შესანახებ ბინაში იქნება გამართული მოსამზადებელი კლასი, ამისთვის პრიუტს აქვს მნიშვნელობა მოსამზადებელი კლასისა.

§ 2. სასწავლებელი იქნება საზოგადოთ ეზარხის ხარჯზედ.

შენიშვნა. მპარხიალურ სასწავლებელში შეიძლება გაიზარდნენ გარდა სასულიეროს, სხვა წოდების ქალებიც.

§ 3. კლასები გაიხსნებიან რიგზედ ერთი მეორის შემდგომ, ამ წელს გაიხსნება მოსამზადებელი და პრუტელი.

§ 4. თხოვნა ქალების მიღებაზედ სასწავლებელში უნდა მიეცეს ამთავთ დროებით დაწესებულ კომიტეტის გასახსნელად სასწავლებლისა. თხოვნასთან უნდა წარსდგეს მეტრიქოსის მოწმობა, ანუ როდესაც ეს არ ექმნებათ, აღმოწერა მღვდლის მიერ მეტრიქოსის წაგრიდგან და ყვავილის აკრილობის მოწმობა.

§ 5. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ქალები არა უმცირეს რვა წლისა და არა უხანგს ათისა, თუნდა არ იცოდნენ კითხვა და წერა.

§ 6. პრუტელ კლასში მიიღებიან ქალები არა ნაკლები ცხრაწლისა და არა უფილდესი ცამეტისა, რომლებმაც იციან წერა-კითხვა და საზოგადო ლოცვები რუსულად და ქართულად.

§ 7. მპარხიალურ ქალების სასწავლებელში ასწავლიან შექმდგომ სათანადო ყველასთვის საგნებსა: 1. სჯულსა ღვთისასა: ა) ისტორიასა ძველისა და ახლისა აღთქმისა, ბ) ვრცელსა კატეხიზმსა, გ) განმარტებასა ღვთის-მსახურებისა, დ) ისტორიასა საზოგადო და რუსთა ეკკლესიისა. 2. რუსულსა ენასა, რუსულსა სიტყვიერებასა და სლოვიანურის ენის მიმოხერათა, კითხვასა და თარგმნასა ამ ენიდგან რუსულად. 3. მართულსა ენასა. 4. პრიტიმეტკასა და საზოგადო ცნობებსა ღვთიეროდგან. 5. მეოკრაფიას საზოგადოს და კერძოთ რუსეთისა, 6. სამოქალაქო ისტორიასა საზოგადოსა და კერძოთ რუსეთისა. 7. საზოგადო და საქრო ცნობებსა ფიზიკიდგან. 8. პედაგოგიასა. 9. შროიანსა წერა და 10. ეკკლესიურსა გალობასა.

არა—ყველასთვის სათანადო საგნებს, არამედ სურვილით გვარად: 1. ახალენებს: ფრანკუტულს, ნემენცურს; 2. მუზიკასა 3. მატრობასა.

შენიშვნა. სწავლა ამ არა-სათანადო ყველასთვის საგნებისა ქალებს შეუძლიანთ ფასისმილებითა და თავისუფალ კლასები დგან დროს.

ამათ გარდა ყველა ქალები მოვალენი არიან ისწავლონ ქრა, კერვა, ქსოვა და ყველა შინაური ხელსაქმე იმ დროს, როდესაც იქნებიან თავი უფალნი კლასებიდგან.

ამათ გარდა ყველა ქალები მოვალენი არიან ისწავლონ ქრა, კერვა, ქსოვა და ყველა შინაური ხელსაქმე იმ დროს, როდესაც იქნებიან თავი უფალნი კლასებიდგან.

§ 8. სწავლა სასწავლებელში იქნება მთელს წელს, გარდა ჯერის დღესასწაულებსა და სახელწიფო, და ადგილობრივისა დღესასწაულებიან, მარხულობის დღეებისა, ზამთრის ვაკაციისა ანუ სწავლიდგან თავისუფალ დროსა, რომელიც გაგრძელდება 22 დეკემბრიდგან ვიდრე 7 იანვრამდე და ზაფხულის ვაკაციისა, რომელიც იქნება ორი თვე, როგორც ადგილობრივ სემინარიაში.

შენიშვნა. სწავლისაგან თავისუფალ დროს ქალებს შეუძლიანთ თავიანთ უფროს ქალს დაეთხოვნენ სახლში, თუ მშობლებიც იმათნი ისურვებენ და არეთვე სთხოვენ ამას ან კიდევ მშობლებისაგან დავალებულნი სანდო პირები, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ისინი თავისდროზედ დარბუნდნ სასწავლებელში.

§ 9. მოსწავლე ქალები, რომლებიც გამოაჩენენ წარმატებასა სწავლაში და კეთილ ქცევაში, გადაეღონ შექმდგომ კლასებში, რომლებიც არ აჩვენებენ წარმატებასა, დარჩებიან იმავე კლასში, ხოლო უნიჭო და მცოდნარე ანუ გარეწრები გამოირიცხებიან სასწავლებლიდგაყოველს დროს, როგორც დახედავს მამინ სასწავლებლის უფროსებიან რჩევა.

§ 10. შექმდგომ კურსის შემთავრები სასწავლის სწავლისა ქალები მიიღებენ ატესტატსა; რომლებიც კი დათხოვნილნი იქნებიან ძურისსა დამთავრებამდინ მიიღებენ მოწმობასა ხელის-მოწერითა რჩევისა წევრებისა და სასწავლებლის ბექდის დასმითა.

§ 11. მოსწავლე ქალები შემდგომ არულის კურსის შემთავრებისა მიიღებენ ეფლებასა და ღირსებასა შინა მასწავლებლისა იმ საგნიას, რომელიც ჯერჯერად და მომეტებულად სხვა საგანზედ შეუსწავლიათ სასწავლებელში და დრ დაჭერინებენ იმათ ამისთვის საუროად დწესებულს ევამენიას.

§ 12. მოსწავლე ქალებს საცხოვრებლად შეუძლიანთ იდგნენ ან შავსა-სწავლებელშივე გამართულ საყოველიანო სახლში ან თავიანთ მშობლებთან ან სანდო პირებთან, რომლებსაც მიანდობენ იმათ მშობლები.

§ 13. სასწავლებელში მიიღებიან შესანახავად ობოლი ქალები სასულიერო წოდებისა მხოლოდ მაშინ, როდესაც იმათ პატრონათ გამოსჩნდებიან კეთილის-მყოფელნი, რომელნიც იკისრებდა სასწავლებელში შემოიტანონ იმათ შესანახავად მთელის წლის ხარჯი, ანუ დაწესებულნი წლის ფასი ყოველს წელს.

§ 14. შენახვას ამ ამ სასწავლებელში 18-ა ობოლი ქალებისა თავის ხარჯზედ კიარულობა მაღალ ყოველად უსამღვდელოესი ექსარხოსი საქართველოსი, არხივისკოპოსი იოანნიკე; ამასთანავე სამუდამოდ შესანახავად სრულ ხარჯზედ ექსის ობლისა ამ სასწავლებელში ამ თავითვე შეიტანა დასაცავად 10,000 მანათი.

§ 15. შასი სრულ ხარჯზედ შენახ-

მ. პეტრამე.

მპარხიალური ქალების სასწავლებლის განსახად. მ. თხილისში.

ნებართვითა უტწმინდესის სინოდისა და შუამავლობითა მაღალი ყოველად-უსა მღვდელთა საქართველო ექსარხოსისა, არხივისკოპოსის იოანნიკესისა მომავალ სწავლის წელს თხილისში გაიხსნება სამკლასიანი მპარხიალური ქალების სასწავლებელი და იმასთანვე პრიუტო ანუ ქალების შესანახავი ბინა.





პირველ წელიწადს თავდაპირველ მოსაწყობლად 50 მან. სხვა წოდების ქალებს 200 მან. და პირველ მოსაწყობლად 50 მან. სასწავლებელში ფასით მყოფს ქალებს ექმნებათ სახლი და ყველა სხვა გვარი შენახულა.

§ 16. შეიძლება ქალები სასულიერო წოდებისა იყვენ ნახევარ ხარჯზედაც და შეიტანონ წელიწადში 80 მან. ამ ფასით ქალებს სასწავლებელში ექმნებათ მხოლოდ ჭიმა, სმა და სახლი.

§ 17. მხოლოდ სასმენელად სწავლისა ყოველ კლასში სათანადო საგნებისა გამოერთმევა ყოველ ქალს წელიწადში 30 მან. და თუ სურვილისა მებრ შეისწავლიან არა-რათანა და ყველასთინ საგნებსა, მაშინ იმისი ფასი სხვა იქმნება, როგორც სასწავლებლის რჩევა გადასწყვეტს.

§ 18. სწავლის სმენისათვის ფასი გამოერთმევათ მხოლოდ გარედგან მავალ ქალებსა სასწავლებელში ნახევარ წლოვით: ენკენისთვეში ერთი ნახევარი დაწესებულის ფასისა და მეორე ნახევარი მარტში; ნახევარის წლის ფასი შეადგენს 15 მანათს.

§ 19. ღარიბ და ნიჭიან ქალებს სასულიერო წოდებისას ეს ფასი სწავლისათვის არ გამოერთმევათ, სასწავლებლის რჩევის გადაწყვეტილების ძალით.

§ 20. სხვა ყველა-ფერში გაიმართება და სისრულეში მოვა, როგორც მოითხოვს უმაღლესად დამტკიცებული უსტავი ეპარხიალურის ქალების სასწავლებლებისა.

## განცხადება

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ვივი-სა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯარებისა და იატაკებისათვის. სრულებით

მზრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

მისაც ამ ხის მასალის შექმნა ჰურს, წყლის მარტოს არსენალის კუჩხე, შუღინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. მალერიან ჩეჩუტი.

(3-1)

### გამოვიდა და ისყიდება

## „ბუბიაოვა“

ვოდველი

აკაკი წამრთლისა

ისყიდება ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში. აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.

მუთაისში

## ქ. მუსხის წიგნის

## მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

- 1) სიტყვანი და მოკლვკაზანი — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის შაბრიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კა.
- 2) ივივი, უკეთესს ქალაღზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.
- 3) რუსული დასაწყისი ვენის კუხის მართვალთათვის (Практический начальный курс рус. языка для дружин — შედგენილი ბ. კ — შილის მიერ. ფასი — 60 კაპ. მინც 20 წიგნზე მომეტესბუღს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმოზ

- 50 კაპიკად.
- 4) დედა ანა — ი. გოგებაშვილისაგან, 50 კა.
- 5) სიბრძნე სიცრუის წიგნი შასი — — — — — 50 კა.
- 6) ბუნების კარი — ი. გოგებაშვილისაგან — — — — — 70 კაპ.
- 7) პატარა გიგლიოთიპა — იმისივე — — — — — 10 —
- 8) ლოსვანი, შედგენილი გლე. ლამბაშიძისაგან — — — — — 20 —
- 9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. შრისთისა — — — — — 15 —
- 10) თამარ ბატონიშვილი — დრამა 5 მოქმ. — — — — — 30 —
- 11) არანა, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — 20 —
- 12) სამუხარაშლო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —
- 13) — შარამანია — პირველი ექსი
- 14) რძალი, მული და მაშენიკაპი — სასოფლო შოკლავს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხაყაზოვის სახლებში ალუბის ქვეშ

დაიბეჭდა და ისყიდება

მეჩვე კარი

## „შარამანიანისა“

ქუციის ხიდზედ, მართანოვის წიგნის მაღაზიაში მიჩვენის ღუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი შარამანიანის, ფასი 40 კაპ.

რძ. მზბ.	ლილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილსის სამკურნალო.
თფილისი ..	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 11 ივლისს.		მრეფ. მ. იდ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა ..	10 11	6 27	85	44	ძავახისი აქეთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 20	ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ
ზორი ..	1 58	9 43	3	1 53	ქალაქებში ..	50	შქვ. წითელი ..	1 60	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ხაშური ..	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	მერი ფუთი ..	1 35	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: ლისიცივი და
სურამი ..	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარშავს ..	2	ბამბა მრეფისა, ფუთი.	8 20	ბარალევიჩი — შინაგ. ავათმყოფობის.
შვირილა ..	5 49		7 21	3 69	მსმალეთში, შევიცარიაში ..	3	— ამერიკისა, ფუთს ..	9 30	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვილი და
რონი ..	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში ..	3 50	ბაენტლი ბამბა ფუთი.	10 70	ბაბოვი — გულისა და შინაგ. ავათ-
სამტრედილა ..	7 51		9 66	4 93	ინგლისში ..	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	6 50	მყოფ.; რეიხი — თვალის, შურავ-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	<b>ფოტობა</b>		— მრამისა ფუთი ..	3 60	ლევი — კანისა და ვენერიულის,
შოთი ..	9 50		12 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ,		აბრეშუმ. ნუხური სტ.	2 10	ბახუტოვი — ქალისა და ბავშვების.
შოთი ..	9 3				მუთაისს, რუსეთს — ყოველ		მონი ფუთი ..	5 80	მ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: ლისიცივი — ში-
ახალ-სენაკი.	10 14		1 53	78	დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და		მონის სანთელი ფუთი.	7 60	ხუთ შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვილი — ში-
სამტრედილა ..	11 5		2 61	1 33	ხუთშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. ძა-		სტეარინის სანთელი ფ.	12 30	ნაგ. ავათმყოფ. და შურავლევი — კანის
რონი ..	12 13		3 84	1 97	ხეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-		სორტი ძროხისა დიტრა	— 72	და ვენერიულის.
შვირილა ..	1 18	ლაბე.	5 3	2 56	სილამ: თფილისისა და შოთისაკენ —		— ცხვისა, ლიტრა ..	— 81	პარასკევეს იქნებიან: ლისი-
სურამი ..	5 12		110 7	3 74	ყოველ დღე კვირას გარდა. მზურ-		სპირტი ვედრო ..	4 50	ცივი, ბაბოვი, ბაბოვი და ბახუტოვი.
ხაშური ..	5 39		1 37	7 51	გეთს — ორშ. და პარასკ.		შაქარი ბროც. ფუთ ..	7 10	შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვილი, რეიხი და
ზორი ..	7 5		4 8	9 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	— ფენილი ფუთი ..	5 60	შურავლევი.
მცხეთა ..	8 50		6 59	11 39	და სამზღვარ გარეთ:		შავა რგვალი გრგ. ..	— 65	მრმეტი — კბილის ექიმი და
თფილისი ..	9 31		7 56	12 24	ლაბედალის (სამი მისხალი) ..	7	შეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13 50	ბაბოვი მიიღებენ შინ, ღარიბებს
							თამბ. ქო სამუყაო ფთ.	6 70	მუქთად.